



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 178

2011 წლის 21 დეკემბერი
ქალაქი ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კომპაქტურად ჩასახლებული დევნილებისათვის საახალწლოდ გადასაცემი კვების პროდუქტების გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ

2011 წლის 13 დეკემბერს (სატენდერო განცხადება (SPA 110031681) გამოცხადებული იყო გამარტივებული ელექტრონული ტენდერი ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კომპაქტურად ჩასახლებული დევნილებისათვის საახალწლოდ გადასაცემი კვების პროდუქტების შესყიდვაზე, რომელსაც 19 დეკემბერს მიენიჭა სტატუსი „ტენდერი არ შედგა“. საახალწლოდ გადასაცემი კვების პროდუქტების შესყიდვა კი აუცილებლობას წარმოადგენს.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

1. განხორციელდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კომპაქტურად ჩასახლებული დევნილებისათვის საახალწლოდ გადასაცემი კვების პროდუქტების გამარტივებული შესყიდვა.

2. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საჭირო ღონისძიება, რაც დაკავშირებულია ამ განკარგულების პირველი პუნქტის შესასრულებლად.

3. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (ქ. ხაშური, ტაბიძის ქ. N2), ხოლო შემდეგ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ხაშური, კოსტავას ქ. N15) ერთი თვის განმავლობაში.

საკრებულოს თავმჯდომარე
დავით ლომიძე

